

რედაქცია

მელიქიშვილის ქუჩაზე, არტემ ჩიგვეტოვის სახლში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქ გარეშე მცხოვრებთათვის: ВЪ Тифлисъ. ВЪ редакцію газеты „Дროება“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანგულს ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

ღილი ასობით, ასოზე — 1 კაპ., ასო-შთაფრთხილით, სტრიქონზე — 8 კაპ., ცუცვროთი, სტრიქ. — 5 კაპ., პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გახსნობს და შეამოკლებს გამოგზავნილ ხტატიებსა, დაუბეჭდელი ხტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირარაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

1876 წლის ხელის-მოწერა

მომავალს 1876 წელს გაზეთი

„დროება“

გამოვა იმავე პროგრამითა და მიმართულებით, როგორც ამ 1875 წელს გამოდის.

რედაქცია ეცდება მხოლოდ, რომ, რამდენათაც იმისაგან დამოკიდებული და დამოუკიდებელი გარემოებანი ნებას მისცემენ, კიდევ უფრო საინტერესო, უფრო სასარგებლო და საჭირო გახადოს თავის გაზეთი მკითხველებისათვის.

ხელის-მოწერა მიიღება თ თ ი ლ ი ს შ ი, — დროების რედაქციის კანტარაში (მელიქიშვილის ქუჩაზე, არტემ ჩიგვეტოვის სახლში) და აგრეთვე სტ. მელიქიშვილის და ახს. ტაბაგრაფიაში (ბანაჟის ქუჩაზე, ამატუნის სახლში).

გარეშე მცხოვრებთა თავიანთი მოთხოვნითა ამ აღრესით უნდა გამოგზავნონ: ВЪ Тифлисъ, въ редакцію газеты „Дროება“. ამ მოკლე ხანში გამოვაცხადებთ, სხვა ქალაქებში ვისთან შეიძლება გაზეთზე ხელის-მოწერა.

გაზეთის ფასი — გამოგზავნილ და გაუგზავნელად	მან.	კაპ.
წელიწადში	8	—
ნახევარ წელიწადში	4	და 50
სამის თვისა	2	და 50
ერთის თვისა	1	—

ამჟამ საჭიროთ ვრაცხთ გამოგაცხადოთ, რომ მომავალი წლიდან გაზეთი ნიშიათ არავის არ გამოგზავნება, გარდა იმ კირაებისა, რომელთათვის პასუხის-გებას თვითონ „დროების“ ავანტიები იკისრებენ.

მოხოვთ ჩვენ მომავალ ხელის-მომწერლებს, რომ თავიანთი მოთხოვნითა დროზე გამოგზავნონ, რადგან უამისოთ იმათი აღრესების დაბეჭდვა დაგვიანდება; ვითხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მომწერთა სახელი, გვარი და საცხოვრებელი ალავი გარკვევით იყოს დაწერილი.

საქართველო

ჩვენი რა ბრალია!

სადაც უნდა იყოთ, ჩამოვარდება თუ არა ლაპარაკი ქართულს ენაზედ, ყველა ამასა სწუხს, რომ ენა ფუჭდება, ძველებური სიტყვის სიუხვე და აზრის სიფრცე ქართულს ენას ეკარგება.

საკვირველი ის არის, რომ ვინც უფრო სტყუვა, ის უფრო საყვედურობს; ვისაც უფრო ბევრი უმოკმედია ამ ძველი ენის დაცვაში, ის უფრო მეტად არის მოწადინე სხვას გადააბრალოს თავის დანაშაულობა. ასე გაზინჯეთ, ზოგიერთს სხვა მიზეზს რომ მორიდებია, იმერლებს აბრალებს ჩვენი ენის შეცვლას — იქამდის არის მისული გზა და კვალის დაბნევა.

ჩვენი აზრით, ვინც ამას სჩივს, დამნაშავენი ისინი არიან და რომ კარგათ დაფიქრდნენ, ადვილათ დაინახებენ, რომ ისიც გასაკვირველია, რომ ამდენათ შენახულა კიდევ ჩვენი ენა.

რუსის მართებლობის ჩვენ არც გიმნაზიები გვქონდა და არც უნივერსიტეტები; მასთან სულ ხშირად თათრისა და სპარსელების მონება-

შიდ ეყავით; მათგან სარწმუნოებაც დევნილი იყო ჩვენი და ენაც. მაგრამ მითი ჩვენ ენას ბევრი არა მოკლებია.

მაშინ ჩვენი სასწავლებლები დიდი ოჯახები იყვნენ. მართალია, წერა-კითხვას მონასტრებშიაც სწავლობდნენ, მაგრამ სიტყვის სიმშვენიერეს, ენის სილამაზეს, ამ დიდ ოჯახებს ვარდა, ვერსად შეისწავლიდა კაცი. თუ კი ვინმე სამღვდელთა არ ემზადებოდა, უსათუოთ ამ ოჯახებში ცდილობდა შესვლას, რომ ესწავლა სხვა გაზდილობასთან წერა-კითხვაც და კარგი ქართული ლაპარაკი.

იმერეთში ეხლაც საჩვენებლად არის — რომელ ოჯახში ლაპარაკობენ წმინდათ ქართულს და სად შეიძლება გაიგონოს კაცმა კარგი ქართული ენა.

ამ ნაირათ, ჩვენი ენის საუნჯე იყო ეს დიდი ოჯახები, იქ ინახებოდა წმინდათ ენა, იქა სწავლობდნენ კარგ ქართულს. მისი სამაგიერო არა იყო.

შემდეგ, მართალია, ბევრი სასწავლებლები დაარსდა; მაგრამ ქართული ენის სწავლა იქ არსად არ ყოფილა ხერხიანი.

ამდენი ცვლილება შამოვიდა ჩვენ ცხოვრებაში და ენისათვის ისევე ის საშუალება ჩვენა, როგორაც უწინ იყო: ვინც თავის ოჯახში ისწავლის, იცის და ვინც არა, არ იცის.

თუ ჩვენი ენა იცვლება, იცვლება მიტომ რომ მ.ს. უწინდელი საუნჯეები მოეშალენ: ოჯახებში სულ დაანებეს თავი ჩვენ დედა ენას; სადაც უწინ ჩვენა ესწავლობდით ენას, იქ თითონ აღარ იცინან; სადაც უწინ ენის გასამშვენიერებლათ მივიღოდი, იქ ერთ სიტყვასაც ველარაინ გაიგონებს ქართულათ. ამ ოჯახის შვილები გიმნაზიაშიაც აღარ სწავლობენ ქართულს; თფილისის გიმნაზიებში რუსები დადიან ქართულ უროკებზედ და ერთ ჩვენ დიდაკის შეიღოს ვერ მოიძვეთ იქ. ქართული ენა მათთვის აღარ არსებობს.

აი, ამათი დედ-მამები არიან, რომელნიც ყველაზედ უფრო ყვირიან ენის დაცვაზედ! არა, ენა კი არ ეცემა, თქვენ ეცემით, და მალე იქნება ის დროც, როცა ქართული ენის თქვენ აღარა გეკითხებათ, როგორც ჩვენი მუშა ხალხის — თქვენ უწინდელი გლეხების აღარა გეკითხებათ. ჩვენს ენას ეხლა უფრო ერთგული პატრონები გამოუჩნდნენ და თუცა ეხლა ძნელდება, მართალია, მაგრამ მალე ისევე თავის საკადრის სიმდიდრეს და სიმშვენიერეს შეიძენს. მისაც თქვენ ენის წახედნას აბრალებთ, ისინი რომ არა ყოლოდნენ ჩვენს ენას. დარწმუნებული ვართ, ის ახლა უფრო დაცემული და მივიწყებული იქნებოდა. თქვენი შემწეობა როგორც ყველა ეხედაეთ, იმას ფეხზედ ვერ დაყენებდა და ეხლა სულ ვერაფერს ეხმარება.

თქვენი მწუხარება მართო ფარისელობა არის. ასე იცის ახალ-გაზდა ყმწვილმა, რომელიც სამსახურში დააპირებს შესვლას: ჯერ საზოგადოების დაცვაზედ დაიწყებს ლაპარაკს, რომ არაფერი არ მოხერხდება, ვერაფერ საზოგადო რიგიან საქმეს ვერ დაიწყებს კაციო, ნდობა არ არისო და სხ. მერე-კი, როცა დაიმშვიდებს გულს ამ ნაირი ქადაგებით, ამჟამ ჩაიცივამს მუნდირს და გამოეცხადება საზოგადოებას მოწინავე კაცათ! მაგრამ სხვანიც ასე იმშვიდებენ გულს და სწვენდენ იმ ყმწვილზედ ყოველ იმედს...

ბ. ჯ.

დღიური

ამას წინათ გამოვაცხადეთ, რომ გერცოგოვინელებისა და ბოხნიელების

ბის სასარგებლოთ ჩვენშიაც აგროვებენ ფულებსაო. „ქაეკაზში“ დაბეჭდილის ხელის-მოწერლების სილამეტუბობობთ, რომ თფილისში ჯერჯერობით ამ საგნისათვის — 212 მანეთი შეკრებილა.

* *

„თფილისის მოამბის“ გამომცემელთ სადაც რიგია თხოვნა შეუტანიათ ნება-რთვის მისაღებლად, რომ მომავალი წლიდამ ეს გაზეთი ყოველდღე გამოდიოდეს, კვირას გარდა.

* *

ჩვენ გეტხოვენ გამოვაცხადოთ, რომ, მოსკოვის საეპარქო მსესხებელი ბანკის გაკოტრებით, არცერთს თფილისის ბანკს არავითარი ზიანი არ მისცემია, რადგან არცერთს იმათგანს ხსენებულ ბანკში, გაკოტრების დროს, ფული არ დარჩენია.

მს განცხადება განსაკუთრებით „თფილისის შრთი-ერთ ნდობის ამხანაგობისთვის“ იბეჭდება, რადგან ქალაქში გავარდა უსაფუძვლო ხმა, ვითომც ამ ბანკს მოსკოვისაში 55,000 მანეთი ჰქონდა და დაეკარგაო.

* *

მქტომბრის 10-ს თფილისის აკკლიმატიზაციის ბალში აქაური სამეურნეო საზოგადოების მწვევრთა და ზოგიერთ სხვა პირთა თანდასწრებით, გამოსცადეს თ. მრ. ჩოლაყაშვილისაგან გამოგონილი საღებავი იარაღი. ამ გამოცდის დამფასებლად ორი აგრონომი იყო დანიშნული: ს. მ. ხოჯაევი და მ. მ. მარკგრაფი. ამათი ჰაზრით, ეს საღებავი 3 $\frac{1}{2}$ -ჯერ უფრო მსწრაფლად ლეწავს და 2 $\frac{1}{2}$ -ჯერ უფრო ნაკლებ მუშას თხოვლობს, ვიდრემ ადგილობრივი კვერიო. ამას გარდა თ. ჩოლაყაშვილის მაშინა წმინდათ, სუფთად ლეწავს და კარგი თვისების ბზესაც სტოვებსო. (ორი საათისა და 10 მინუტის განმავლობაში, სამი უბრალო ცხენით, ამ იარაღმა 300 ძნა პური გალევწა.

ზემოხსენებული აგრონომების ჰაზრით, ეს საღებავი მაშინა გამოსადეგი იქნება მხოლოდ დიდი მემამულეებისათვის; გლეხები კი მაგდენათ ვერ ისარგებლებენ, რადგან მაშინა ძვირათა ღირს, 150 — 250 მანეთამდი. მაგრამ თუ მთელი სოფელი ერთად გამოიწერს საზოგადოთ, მაშინ იმათთვისაც გამოსაყენებელი დარჩება. ამას გარდა შეიძლება, რომ მაშინას, ზოგიერთი რკინეული ნაწილების მაგიერად, ხის მასალები გაუკეთონ და ამნაირად გაიფუძვან.

მრთის სიტყვით, უფველი, რომ ეს საღვწეო მამინა ყურადღებაში მისაღები მოგონებაა და თ. მრასტი ჩოლაყაშვილი თავის შრომისათვის საზოგადო მადლობის ღირსია; მაგრამ მომეტებული მადლობა მაშინ უნდა ეძღვნას, თუ ისე მიაგვარებს თავის მამინას, რომ უფრო იაფად დაჯდეს და ამნაირად სოფლის ხალხ-მაც შეიძლოს იმით სარგებლობა.

* *

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ერთი ბერძენი პანტელემან საულიდი, თ. ანტონ ნაკაშიძის შეწევნებით, მზურგეთში ერთ კლასიან ელემენტალურ სასწავლებელს ხსნის.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ თ. ა. ნაკაშიძის ვახსენებთ ჩვენ, როცა ბურიაში სახალხო განათლებაზე ჩამოვარდნა ხოლმე ლაპარაკი.

* *

ძახილმ გვეწერენ, რომ ამ დღეებში ერთ ანხლ დედაკაცს იმდენი უტყვია თავის ავთაყოფი ქმრისთვის, რომ მოუკლავს.

* *

ჩვენი პიატიგორსკელი კორრესპონდენტი გვაცნობებს, რომ ამ დღეებში აქაური ლაზარეთიდან შუალამებზე ერთი ტუსალი გაიქცაო. სალდათებმა იმ წამსვე ბარბანის კერა შექნეს; ფაცა-ფუცაში და არეულობაში კარა კლასიკოსი სასუკესულ რუსის მუჟიკს შეხვდნენ თურმე სალდათები, რომელიც გაქცეულ ტუსალათ მოეჩვენათ, და იმდენი სცემეს ამ საწყალს შტიკებით, რომ იქვე სული ამოხდერაო...

* *

„სასოფლო გაზეთის“ უკანასკნელს ნომერში იწერებია:

„ძმას წინათ გაზეთებში სწერდნენ, რომ სურათთან, შეზირიშვილების მამული ვილაცა უცხო ქვეყნელ კაცებს აუღიათ ბანგის დასათესათა და მოსაყვანათო. შევლა განათლებულ ქვეყნებში ბნეი საწამლადათ მიჩნიათ და ღმერთმა დაგიფაროს, რომ ჩვენში შემოვიდეს. ადამიანი უდროო დროთ საფლაოში ჩაპყავს. ბანგს თამბაქოსავითა სწვევენ; კაცს ათრობს და ისე ხდის, როგორც კი დამთვრალი კაცი. ბანგ ნაჩვევი კაცი უდროოთ სუსტდება, ღონე ერთმეფა და არაფრის საქმის გაკეთება აღარ შეუძლია, და ვეღარც გადაეჩვევა.“

„დროშის“ კორრესპონდენტი

ჩაჭილამ, 10 ოქტომბერს.

მთუ დააკვირდება კაცი რაჭველი გლეხის ცხოვრებას, თუ შეამსგავსებს ენლანდელ მის მდგომარეობას იმ მრგომარეობასთან, რომელშიაც იყო იგი განთავისუფლებამდე დამოკიდებულებისაგან მებატონისა, შეუძლია სრულის დარწმუნებით სთქვას, რომ აქაური გლეხი—მიუხედავად მისა, რომ სხვა და სხვა გარდასახადი: სახელმწიფო, საბატონო, საეკლესიო და სხვ. ხდება—მატრიალურის და ეკონომიურის მხრით შესანიშნავად წინ სდგამს ბიჯს.

ამ უკანასკნელი სამის წლის განმავლობაში რაჭის ნოტარიუსისგან შესრულებული ნასყიდობის წერილები და სხვა საბუთები ცხადად გვა-

ჩვენებენ, რომ თვითოველს წელიწადს ასი ათას მანეთზე მეტის ფასის მამული უსყიდნიათ გლეხებს თავისუფალი უწყების პირებისაგან. ამას უნდა დაუმატოთ ისიც, რომ აქაური გლეხი სხვა მანქანების გლეხზე ბევრად მეტს ფულს აძლევს თავის მებატონის სახსრად მამულისა და იმ მფლობელის ნაწილისა მიწის მოსავლისაგან, რომელიც დაწესებულია უტყვენის ღრამატით.

რა თქმა უნდა, რომ თუ კი ამ პირველს შემთხვევაში, როდესაც ახალს ცხოვრებას შეუჩვეველი იყო ჩვენებური გლეხი, მან ესრე გონივრად წაიყვანა საქმე, შესახებ თვისის ცხოვრების დაუჯგობრობისა, შემდგომში, როგორც ცოტადრენათ არის მაინც, გონება გახსნილი შეიქნება, უფრო ადვილად მოახერხებს მიღწევას იმ მიზნამდე, რომელსც ელტვის, უკეთუ არ აბრკოლებდეს მას შემდგომი გარემოება:

საბრალო გლეხი ურიგდება მებატონის ადგილ-მამულის ფასში, მაგრამ, რადგან ფული ხელად არააქვს, ის სესხულობს მოკლეს ვადით იმ დაიმედებით, რომ მებატონისთან საქმის გათავებისთანავე გაყიდის ანუ დააგირაუვებს ნაწილს მამულისა და დააკაყოფილებს მოვალეს. ბათავა საქმე, გამოარჩია რასაც უფრო ადვილად შეეღვეა, იშოვა კაცი, რომელიც აცხადებს სურვილს სყიდვანზე, მაგრამ სთხოვს ნასყიდობა შესრულებს. მიდიან ნოტარიუსთან ნასყიდობის შესასრულებლად. ნოტარიუსი უცხადებს მათ, რომ ნასყიდობის შესრულება კანონის ძალით არ შეიძლება, სანამდინ გამსყიდველი არ წარადგენს კაკონიერ საბუთს კუთვნილებასზე. ამის შემდეგ ბირბის მიროვოი პოსრედნიკთან და სთხოვს საბუთს. ის აძლევს ან მოწმობას, რომელშიაცა იწერება, ეს გლეხი მესაკუთრეაო, ანუ პირს იმ პირობის წერილისას, რომელიც შემდგარა მებატონისა და გლეხს შორის მამულის შესყიდვის თაობაზე და აიხედებს, ამ საბუთის ძალით, შეგიძლიან გაყიდო რაც გინდაო; მაგრამ საწმუნა როდ, ნოტარიუსი ისრეთსავე პასუხს აძლევს, როგორც წინეთ მისცა.

დადარდინებული გლეხი ეხვეწება ნოტარიუსს გამოიყვანოს ამ გვარის მდგომარეობისაგან, დაიფაროს მოვალეების მხრით გაგლეჯისაგან ნოტარიუსი აძლევს რჩევას, რომ რადგან ნასყიდობის წერილის შესრულება არ ხერხდება და ფულის მიღება გეჩქარება, მეტი საშუალება არ არის, პირობის წერილით უნდა შეეკრა მსყიდველს, რომ თავის დროზე დაუმტკიცებ მას მისყიდულ ადგალს. ამ პირობის წერილში უნდა დაინიშნოს ვადა და აგრეთვე მისის შეურყვევლობისათვის უნდა დაიწეროს იგიცა, რომ, თუ ვადაზე ვერ შეუსრულე ნასყიდობა, ვალდებული იქმნები დაუბრუნო მამულის ფასად მიღებული ფული ჯარიმით.

ღიდის სიამოვნებით თანხმდება გლეხი ამ გვარის პირობის წერილის შესრულებასზე და ვადათ ნასყიდობის შესრულებისათვის ნიშნავს ორს ან სამს წელს, იმ იმედით, რომ ამ დროს განმავლობაში ის უეჭველად მიიღებს საბუთს „დანას“.

ზადის პირობის წერილში დათქმული ვადა და გლეხი „დანას“ ვერღებულობს. შივის მსყიდველი და თავდება საქმე მით, რომ მსყიდველმა უნდა დაუბრუნოს პირველს ადგილის ფასი, ჯარიმით, სარგებლით და საქმის საწარმოებელით.

იმისთანა თქვენს მტერს, როგორ-

რიც დღე ამ ჩვენ მსყიდველს „მესაკუთრეს“ უთენდება. მოწინააღმდეგე მისი მიიტანს აღსრულებისთვის ფურცელს და დაუნიშნავს სამოსამართლო ბოქაულს (პრისტავს) უმჯობესს ნაწილს მამულისა, აღსაწერად და საზოგადო ვაჭრობით გასასყიდლად და ამ გვარის ვაჭრობით ვინ არ იცის როგორ მცირე ფასად იკარგება მამული.

სხშირად მსყიდველი დროებით ვალდებული გლხთავნია და ესრეთ, როდესაც ევაჭრებოდა გამოამსყიდველს, შენატორადა: შენ თავისუფალი კაცი ხარ, რაც გაქვს შენაირა და ჩემის ადგილ მამულის პატრონი ვინ არის, არც კი ვიციო! და დღეს ეს უკანასკნელი თვალცრემლიანი შესჩივა პირველს: უნდა გებრალეზოდე, მე ხომ დანხის მიუღებლობით მომივიდა ეს საქმე. რა ლეთის რისხვია, რომ ესრე ვიღუპებით და კაცი არ სჩნდება ჩვენს მდგომარეობაში შევიდესო.

მესაკუთრე გლეხი, ე. ი. ისრეთი, რომელსაც ზემო აღწერილი ტანჯვა მოვლის ანუ გაუვლია, ირიცხება დღეს აქ უჭეტეს 900 კომლითა და ამათვანს გარდა 17-ს დღემდე არ მიუღია დაინ; ამის გამო დნარჩენი რაოდენობა გლეხებისა, შემხედველნი მისა—თუ რა უბედურება მოსდით დანხის მიუღებლობით მათ, ვისაც მამული შეუსყიდნია, რასაკვირველია, ვეღარ ბედ-ვენ ფულის სესხებას ზემო დაწერილის საჭიროებისათვის. ამ გარემოების გამო გლეხებისგან მამულის შესყიდვის საქმე უკან და უკან მიდის და წავა შემდგომშია.

მთუ თუ არ შეიძლება მოსპობა ამ დაბრკოლებისა? ნუ თუ არვის მათგანს, ვინც ღებულობს მონაწილეობას მებატონეთ და მათის დროებით ვალდებულის ყებების დაზავებაში, არ შეუნიშნავს ეს გარემოება, რომ შესრულიყოს წარდგინებით ვისთანაც რიგია, შესახებ შეცვლისა იმ წესისა, რომელიც ახლა არსებობს გლეხებისადმი დანხების მიცემის თაობაზე?

პრსებულის ამ ქამად წესით, პირობის წერილი, რომელსაც, ადგენს მიროვოი პოსრედნიკი უნდა წარდგინდეს იქმნეს ღებუონის საგლეხო პრისუტსტიაში; აქედამ ის ეგზავნება უფროსს ნოტარიუსს, რომელმაც უნდა მოახდინოს გამოკვლევა: არის თუ არა დაღებული აღკოძლოფა გლეხისგან შესყიდულს მამულზე. უფროსი ნოტარიუსი ამ პირობას ჯეროვანის პასუხით აბრუნებს იმავ პრისუტსტიაში და ეს სასმართლო უგზავნის კერძო-ნოტარიუსს მუთათისის ქალაქისას დანხის შესასრულებლად. ამ უკანასკნელისაგან შესრულებული დანხა ისევე პრისუტსტიაში უნდა დაბრუნდეს და შემდგომ წარეგზავნება ადგილობრის მომრიგებელ მსჯულს, იმ დასასრულით, რომ გლეხი შეეყვანოს იქნეს მფლობელიაში მამულისა. ამასობაში, რასაკვირველია, ბევრი დრო მიდის ვინემდის გლეხი ელირსებოდეს მიღებას იმ საბუთისა, რომელზედაც არის დამოკიდებული მისი ცხოვრების გაუმჯობესობა ანუ დაღუპვა.

მე მგონია, ამდენ გარდაცემ-გარდმოცემას ერთის ადგილიდამ მეორე ადგილზე გლეხს და მებატონეს შორის შეკრულის პირობისა, ის სჯობდეს, რომ მიროვოი პოსრედნიკმა თვითონ შეკრიბოს ცნობა: არის ვითარიმე დაბრკოლება გლეხისადმი დანხის მიცემაზე ანუ არა, და შემდგომ ადგილობრივსავე ნოტარიუსს გარდასცეს აღნიშნული პირობის წე-

რილი დანხის შესასრულებლად. ეს მით უმეტესად გვაჩვენებს უჭმებს, რომ სხშირად პირველს უჭრულებში იპარება შეცდომა და ისევე უბრუნდება პოსრედნიკებს გარდასასწარებლად. თამამად შემოძლიან ვსთქვა, რომ ამ გვარის წესის შემოღება ბევრს სიკეთეს მოუტანს ჩვენებურ გლეხს. ბევრის მათგანისაგან გამოიგონია: „ნეტავი ვიცოდე მაინც, სად ვეძიო ჩემი პირობა: პოსრედნიკთან, პრისუტსტიაში, უფროს ნოტარიუსთან, თუ ვისთანო; იქნება დამეჩქარებინოს საქმე და ველიროს დანხის მიღებასო!“

რაჭის ნოტარიუსმა, რომელთანაც შემხედა მე ამ საგანზედ საუბარი, მითხრა: „დანხების შესრულებისათვის ნოტარიუსს აქვს დანიშნული ორ-ორი მანეთი. მთუ მივიღებთ სახეში მას, რომ თითქმის ყოველს დანხას საშუალო გამოანგარიშებით სამის თაბახილამ ექვს თაბახამდინ დაჭარდება ქალადი, თუ ვიანგარიშებთ პრეეტების წერას და სხვა მიწერ-მოწერას დანხების შესახებ, რასაკვირველია, თითო თაბახის დაწერაზე მოსდის ნოტარიუსს არა უმეტეს 20 კაპეიკისა და ეს ფული კანტორის ხარჯსაც ვერ სღავს. მაგრამ მე შეხებუველი მისა, თუ რა ნაირად ილუპება გლეხები დანხების მიუღებლობით, დიდის კმაყოფილებით ვიკისრებ შესრულებას იმათს ყველა ამ ქამამდე მორიგებულის რაჭველის გლეხებისათვის, ოთხის თვის განმავლობაში, რადგან მე უფრო ბევრი თავისუფალი დრო მაქვს ქალაქების ნოტარიუსებზე.“

ამ გარემოების აღწერა მე ბევრმა ისეთმა გლეხმა მთხოვა, რომელნიც პირობით არიან შეკრულნი სხვა და სხვა პირთან, მისყიდულის მათ მიერ მამულის დამტკიცების შესახებ.

მე ჩემის მხრით ეს არის ადვასრულე მათი თხოვნა, მაგრამ ბევრს სარგებლობას ვერ შესძენა მათ ეს ჩვენი ლაპარაკი, რადგან შესაძლებელია, რომ ვისაც ამ საქმის გაკეთება შეუძლია, იმათ ვერც კი შეიტყონ ეს გარემოება.


ძრამაველი

სენაკის მაზრიდამ, 19 ოქტომბერს

ზასაკვირველია იმ მცხოვრებლების მოქმედება, რომელნიც რკინის გზის ახლო სცხოვრებენ და არ უფრთხილდებიან არც თავიანთ ზარალს და არც მატარებელის დამარცხებას. ძვირა არ გავა ისეთი, რომ მატარებელი არ დაეცაკოს კამბეჩებს, ძროხებს, ცხენებს და სხვა პირუტყვებს, რომლითაც როგორც მატარებელი მარცხდება, ისრე საქონლის პატრონებიც იღუპებიან. მოეყვან ანგარიშს, თუ მცხოვრებლებს რამდენი ზარალი მოუვიდათ თავისი გაუფრთხილებლობით ამ 1875 წელში; ამ ანგარიშს ეტყობილობ გზის მცველების განცხადებებიდან. წელს მატარებელიდან დამარცხებულა: 10 ცხენი, 8 ძროხა და ხარები და 11 კამბეჩი. საშუალო ფასი რომ მოვიყვანოთ, დამარცხებული საქონელი ელირება 1260 მანეთად.

მგონია ამდენ ზარალს კი უნდა დაეფიქრებია მცხოვრებლები და რამე საშუალება უნდა მოეფიქრებია უამისოთაც სილარბეში ჩაფლულ ხალხს.

ამ შემთხვევაში ერთად-ერთი სა-



შუალედის რჩევა შეიძლება, ის, რომ საერთო მწყემსები დაიქირაონ და დაყენონ იმ ადგილებზე, სადაც უფრო ხშირათ ხდება ხოლმე ამ გვარი მარცხი. მანსაკუთრებით საჭიროა ჰალაღიდან თეკლათამდის, სადაც ოთხი ან ხუთი მწყემსი იკმარებს, რომლების დაქირავება წელიწადში ეღირება ბევრი-ბევრი 150 მანეთით.

ივანე მახარაძე

რუსეთი

გერცოგოვინის არეულობის თაობაზე, რუსულ ოფიციალურ გაზეთში „მმართველობის მოამბეში“, სხვათა შორის, სწერია შემდეგი:

„იმ ბრძოლაში, რომელიც ახლა ოსმალებსა და ქრისტიანებს შუა ამტყუარია, ჩვენი თანაგრძობა, რაღა თქმა უნდა, ქრისტიანებს ეკუთვნის, ეკუთვნის გერცოგოვინელებსა და ბოსნიელებს, რომელნიც სარწმუნოებითა და შთამომავლობით ჩვენი მოძმენი არიან. ამის გამო ვაზეთი „პროკოკი“ სდგება, როცა ამბობს, რომ „რუსის მმართველობა ხალხს უკმადავს სამხრეთ სლავიანებისადმი თანაგრძობის გამოცხადებასა.“

* *

ღვინობისთვის 15-ს პეტერბურლიდამ წამოსულა კამისია, რომელმაც როსტოვო-შოლიკოვსკის რკინის გზა უნდა შეამოწმოს.

* *

შავი ზღვის ზოგიერთ ქალაქებს უთხოვნია მთავრობისათვის ნება-რთვის მიცემა, რომ ყოველ საქონელს, რომელიც ამ ქალაქების ნაეთ-სადგურებიდამ გაიტანებენ, ბაჟი მოემატოს, ფუთზე 1/2 კაპეიკი და ეს ბაჟი ხსენებული ქალაქების სასარგებლოდ დარჩეს. ეს თხოვნა მმართველობას არ დაუქმყოფილებია.

* *

პეტერბურლის ვაჭრებში დაბეჭდილია წლიური ანგარიში იმ იაფი სასადილო სახლებისა, რომელიც შემოახსენებულ ქალაქში რამდენსამე ალაგას არის გამართული. ანგარიშ-დამ სჩანს, რომ 1 მკათათვიდამ 1874 წლისა 1875 წლის 1 მკათათვიდამ სამი კუხმისტრიდამ ღარიბებისთვის 200,000 სადილი მიუციათ და თითქმის 440,00 ცალკე პორციები (კერძები). ამ ხნის განმავლობაში კუხმისტრებიდამ შემოსულა— 63,424 მანეთი და თითქმის ამდენივე დახარჯულა.

* *

მრთი მდიდარი ფაბრიკანტი პეტერბურლში თავის ფაბრიკის მუშებისათვის თვითონვე ამზადებინებს საზოგადო იაფ სადილებსა და ვახშამს და ამნაირად 200 მუშა ერთად სჭამენ პურს და ბევრად უფრო იაფად უჯდებთ თურმე, ვიდრემ ადრე, როცა ცალ-ცალკე ტრაქტირებში და დუქნებში სჭამდნენ.

* *

მრთი ოდესის ვაჭრების სიტყვით, ამ ქალაქში სდგება საზოგადოება, რომლის მიზანი იქნება, რომ რითაც

შეიძლება დაეხმაროს იმ ახალგაზდა ღარიბ მოსწავლეებს, რომელნიც უმაღლესი სწავლის მიღების სურვილს განაცხადებენ.

უცხო ქვეყნები

გერცოგოვინის არეულობა. სტამბოლის ერთს ფრანკულ გაზეთში იწერებია, რომ ოსმალოს ამ ჟამად გერცოგოვინაში და ბოსნიაში 100,000 ჯარი ჰყავსო და ამ რიცხვიდამ 80,000 რეზერვები არიანო. ამავე ვაჭრების სიტყვით, ოსმალოს სამხედრო მინისტრმა ეს რიცხვი საკმაოთ დაინახა აჯანყების დასამშვიდებლად და მეტ ჯარს აღარ გაგზავნისო.

— ბრძოლის თაობაზე იწერებია, რომ ბოსნიაში ოსმალოს ჯარმა (ბაში-ბუზუქებმა) ბევრი საქრისტიანო ეკლესიები დაანგრეს და გაცარცევსო და ტყვეები კი ჩამოაღრჩესო. ამის თაობაზე, როგორც ისმის, ბოსნიის ლუბერნატარს სტამბოლიდამ ბრძანება მოსვლია, რომ გამოძიება დანიშნოს და სასტიკად დასაჯოს ისინი, ვინც ამისთანა ბარბაროსობას ჩაიდინაო.

— სტამბოლიდამ მოსული დეპეშა გვაცნობებს, რომ დაბრუნდება თუ არა ლივადილამ რუსის ელჩი ლენერალი იგნატიევი, წინადადებას მისცემს დანარჩენ მეროვის სახელმწიფოების ელჩებსაო, რომ, გერცოგოვინის არეულობის თაობაზე, ყველამ საერთოთ იშუამდგომლონ ოსმალოს მმართველობის წინაშეო.

სერბია. მრთს ხალხს წარმომადგენელს (დეპუტატს) შეუტანია სკუპსინაში წინადადება, რომლის ძალითაც ის თხოულობს, რომ ამ კრებამ კანონი გამოსცეს, რომ შემდეგში ყველა სერბიელი ვალდაბული იყვეს ერთი წელიწადი იმსახუროს სამხედრო სამსახურში. მომეტებული ნაწილი სკუპსინის მწვერთა, როგორც ამბობენ, ამ წინადადების თანხმა არ იქნებია, რადგან, იმპრის ჰაზრით, ერთი წლის განმავლობაში სამხედრო საქმის სწავლა შეუძლებელი საქმეაო.

— ბელგრადილამ ერთს გერმანიულს ვაჭრებში იწერებია, რომ იქ დაუტუსადებიათ ერთი სერბიელი ვაჭრის („ი ტოკის“) რედაქტორი სტანიჩიჩი, რომელსაც სახელმწიფოს დალატსა და სერბიის მთავრის შეურაცხყოფელ სტატის დაბეჭდვას აბრალებენ. თუმცა ეს რედაქტორი მეორე დღესვე გაუნთავისუფლებიათ, მაგრამ გამოძიება, ამ საქმის თაობაზე, ახლაც არისო.

საფრანგეთი. რუერის მკაცრმა სიტყვამ, რომელშიაც ის ასე ჰქიცხავდა ახლანდელ საფრანგეთის კონსტიტუციასა და ნაციონალურ ქრებამს, კიდევ ააღელვა ფრანკულული ვაჭრებში. მომეტებული ნაწილი რესპუბლიკური და ორლენური ვაჭრებისა თხოულობენ, რომ ამ სიტყვის თაობაზე ნაციონალურმა ქრებამ, თავის სხდომების განხილვისათვის, უნდა მოილაპარაკოსო და საზოგადოთ ბონ-პარტისტების ქადაგების წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიება უნდა მიიღოსო.

უცხო თაობაზე ნაციონალურმა ქრებამ, თავის სხდომების განხილვისათვის, უნდა მოილაპარაკოსო და საზოგადოთ ბონ-პარტისტების ქადაგების წინააღმდეგ სასტიკი ღონისძიება უნდა მიიღოსო.

მსპანია. მადრიდის ოფიციალურს ვაჭრებში სწერენ, რომ სამინისტროს გადაწყვეტილი აქვსო, რომ განკარგულება პორტების მწყერთა ამორჩევის თაობაზე ამ ახლო ხანში უნდა გამოვიდესო და თვითონ პორტისები 15 იანვარზე გვიან არ შეიკრიბებოა.

— მმართველობას მოსვლია და ჩაუბარებია 20 ზარბაზანი, რომელიც ქრუპის ქარხნისთვის ჰქონდა შეკვეთილი; ეს ზარბაზნები მსპანიის ჩრდილოეთი არმიისთვის არის დანიშნული, კარლისტების წინააღმდეგ უნდა იხმარონ.

ღანია. ღანიის კოროლი მეროპაში მოგზაურობას აპირებს. ამის თაობაზე ერთს ბერლინის ვაჭრებში იწერებია, რომ ამ მოგზაურობას პოლიტიკური მნიშვნელობა აქვსო; ღანიის კოროლმა (რომელიც მამა საბერძნეთის კოროლისა) პარიჟში და ლონდონში უნდა მოელაპარაკოს სახელმწიფო კაცებს და თავის შეილის ტახტის გამაგრებას უნდა ეცადოსო.

ქრონიკა

48

მეფე საურმაგი და მისი დრო

მეფე შარნავაზი 237 წელს მოკვდა და ძის მაგიერად გამეფდა იმისი შვილი საურმაგი. ეს კაცი მიფობდა 237 წლიდგან ვიდრე 292 წლამდე. „მართლის სოფრება“ მე-33 გვერდზე ამბობს, რომ იმან „უმატა ყოველთა სიმაგრეთა მცხეთისათა და მართლისათა, და მან შექმნა ორნი კერპნი ანინა და ღანანა.“

ამ სიტყვებიდგან სჩანს, რომ ის ცუდი მეფე არ ყოფილა: იმას გაუწენია მეცადინეობა როგორც ხალხის კეთილდღეობისათვის, აგრეთვე სამხედრო საქმის წარმატებისათვის.

მაგრამ ვახდა მეფედ თუ არა, მართლის ერისთავებმა შეადგინეს შეთქმულობა, რომ ის მოჰკლან და იცხორონ ისრეთისავე თავისუფლებით, ვითარც იმთ ჰქონდათ შარნავაზის გამეფებამდე. მტყობა, რომ მეფე შარნავაზს იმათი უფლება შეუეწირობებია და დაუმორჩილებია თავის მეფურს ნებზე. ისინი ამბობენ: „ვიყვნეთ ჩვენ თავის უფალ, ვითარცა ვიყვნით პირველ.“ ეს პირველი მიზეზი. მეორე მიზეზად თავის უკმაყოფილებიას ერისთავები ამბობდნენ: „არა კეთილ არს ვმსახურებდეთ ნათესავს ჩვენსა.“

ამ გვიარის სურვილისა გამო ერთსთავებმა რომ მოინდომეს საურმაგის მოკვლა, იმან შეიტყო ეს განზრახვა, აიყვანა თავისი დედა და თაბრულად გაღიხერწა ჩერქეზეთში თავის დედას ძებთან. მაგრამ, როგორც სჩანს ფაქტებიდგან, ხალხი არ იყო წინააღმდეგი საურმაგი ვაიქვა თუ არა, მაშინვე აზნაურნი მივიდნენ იქასთან და ასრე უთხრეს: „დიდი კეთილი ღვას ჩვენზედა მამისა შენისა: ამისათვის ვართ ჩვენ მტკიცე ერთგულობასა შენსა.“

ნისა: ამისათვის ვართ ჩვენ მტკიცე ერთგულობასა შენსა.“

ეს რომ შეიტყო საურმაგი, შეშინდა და სთხოვა თავის ბიძას და ოსეთის მფლობელს. იმათ მისცეს შემწეობა და იმან მათის წყალობით დაამარცხა განდგომილი ერისთავები, და ზოგი დახოცა, ზოგს კი შეუნდო. შენდობა ამტკიცებს, რომ ერისთავებშიაც ყველანი არ ყოფილან თანახმანი შეთქმულობაზე. მაგრამ მეფემ მაინც და მაინც ქართლოსიანი ერისთავები დაამდბო და იმათ ნაცვლად აზნაურები აამალა.

ამ სახით რომ დაამშვიდა შინაური განხეთქილება და დაჯდა საურმაგი მეფედ მცხეთაში, მკრამე მოიწვია ქაეკასილდგან ჩერქეზები და სხვა ხალხები, დაასახლა ცარიელს ადგილებზე ყოველთა საქართველოში და მით გაუმრავლა საქართველოსერი. მრთის სიტყვით, ყველაფრიდგან სჩანს, რომ საურმაგი ქეყნის ბედნიერებისათვის მზრუნველი იყო, მაგრამ ერისთავებს არ უყვარდათ, რადგან თავის საერისთავებში შეფობამ იმათ წაართვა ხალხისათვის მძინვარედ მძაყრობის უფლება.

საურმაგისაგან პირველი სუსხის ნახვის შემდეგ, ერისთავებმა ვეღარ გაბედეს შფოთი და ამისათვის აღარა იმამხდარა რა ქართველ ერის შინაურს ცხოვრებაში. შინ რომ დამშვიდნენ, ახლა ქართველები სელევიკიდების ომში გაერივნენ, რადგან საქართველო ასურისტანის მეფეების სელევიკიდების მოკავშირე იყო. როცა აზიაში სხვა და სხვა ხალხები აღიღდნენ ანტიოქიაში ღიდის წინააღმდეგ, მაშინ ქართველებმა მიიღეს მონაწილეობა ომში. მაგრამ ანტიოქიისაგან გამდგრებმა წინამძღომლებმა სომხეთის ჯარებით დაარბიეს საქართველოს სამხრეთის ნაწილები და საურმაგს მით ხელი ააღებინეს ანტიოქიისთვის შემწეობაზე.

მითქოდეს იმის შემდეგ, რაც პირველად საურმაგმა სუსხი აჩვენათ მაშფოთარ ერისთავებს, ვეღარავინ გაბედვდაო ურჩობას; მაგრამ ეს ასე არ მოჰხდა. შედურს საურმაგს შვილი არა ჰყვანდა, ორი ასულის მეტა. ამისათვის მოინდომა თავისივე სიცოცხლეში ამ საქმის გადაწყვეტა, თუ იმის შემდეგ ვინ იმეფებს. იმან იშვილობა ასურასტანის მეფის ერთი შთამამავალი, მირიანი, მისცა ცოლად თავისი ერთი ასული და დაუმტკიცა თავის მემკვიდრეობა. მეორე ასული მისცა სამეგრელოს ერისთვის მუჯის შვილის შვილს. აი ეს ორი ქვისლი, საურმაგის სიკვდილის შემდეგ, ერთმანეთს შეეცილნენ მეფობაში. სამეგრელოს ტახტის მიძიებელი უფრო ახლოს იყო მეფეთან და მომეტებულიად უფლება ჰქონდა მეფობაზე, ვიდრე მირიან I.

ინგილო ჯანაშვილი

ნარეკი

ღვინობისთვის 9-ს ყოფილა სანტ-მთენში (ს.ფრანგეთში) პირველი სხდომა აღმოსავლეთის ენებისა და ისტორიის მცოდნე კაცებისა. სხდომის ზალა შემკული ყოფილა საფრანგეთისა და აღმოსავლეთის სხვა და სხვა ხალხების ნაციონალური დროშებითა.

* *

ოდესაში იმყოფება ამ ჟამად ერთი ცამეტი წლის ხანამი, რომელიც უქმ დღეებში ებრაულად სწირავს თურმე იქაურს სინაგოგებში. ამბობენ, რომ ეს ყმაწვილი გასაკვირველი ნ. ქიკრი და მსწველილია.

იმის წირვაზე ხალხს ბილეთებით უშვებენ თურმე, თითო კაცს ათ შაურს ახდენებენ. თვითონ ახალგაზრდა ხანას კი თითო წირვაში ექვს თუმანს აძლევენ. ტანითაც ისე პატარაა თურმე, რომ წირვის დროს სკამზე დგება, რომ ხალხმა დაინახოს.

საკაჭრო

△ ქვეყანის სამხედრო მარხის რჩევის გადაწყვეტილებით, მომავალ ნოემბრის თვის 19-ს იქნება უკანასკნელი ვაჭრობა (დაბეჭდილი განცხადებით) თფილისის, სტავროპოლის და პეტროვსკის საინტენდანტო მალაზიებში და აგრეთვე შლადიკავსილამ თფილისში და პეტროვსკში და ასტრახნილამ სტავროპოლში და საზოგადოთ ერთი ალაგად მფორეში გადატანაზე ინტენდანტის ნივთებისა და წამლებისა—1876 წლის 1 იანვრიდან ვიდრე 1878 წლის 1 იანვრამდე.

ბირათ, ფასის დაგვარად, წარდგენილი უნდა იქნეს 20% გადასატანი ნივთების ფასისა, შემდეგის ანგარიშით: თფილისისათვის—4,912 მანეთის გირაო, სტავროპოლისათვის—7,480 მანეთისა, პეტროვსკისათვის—4,684 მან. და ასტრახნილამ სტავროპოლში გადასატანი ნივთებისათვის—150 მანეთი.

△ ქვეყანის სამხედრო მარხის ინჟინერის გამგეობა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აშენება ღვთაგარში (ღელსტანში) პოლიკისათვის ლაზარეთის აშენება, რომლისათვის 29,274 მანეთია დაინშნული.

ვაჭრობა იქნება თფილისში, საინჟინერო სამმართველოში, 7 ნოემბერს ამ წლისას.

△ იგივე ინჟინერის გამგეობა გამოიხმობს მსურველებს, რათა იკისრონ იჯარით აშენება ბაკოში ბათალიონის ფლოგელთან ფენის ალაგის აშენება, რომლისთვისაც ხაზინისაგან 8,740 მანეთია დანიშნული.

ვაჭრობა იქნება თფილისში, საინჟინერო გამგეობაში, ამ წლის 6 ნოემბერს.

განცხადებანი

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

მრეწვის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში, ავთომოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვი-

რას გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

მ რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი ტელიაჭუხი—ქალისა და ყმაწვილების ავთომოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცივი—შინაგანი ავთომოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი და მარკაროვი—შინაგანი ავთომოფობისათვის.

მ თ ხ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—შინაგანი ავთომოფ., მაკოვსკი—ვენერიული ავთომოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ბრაზოვსკი—ხირურგიული ავთომოფ., ტელიაჭუხი—ქალებისა და ყმაწვილების ავთომოფ. და მერმიშვილი—შინაგანი ავთომოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და მარკაროვი—შინაგანი ავთომოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვილი—შინაგანი ავთომოფ. და მაკოვსკი—ვენერიული ავთომოფობისათვის.

თფილისის ყველა წიგნის მალაზიებში, აგრეთვე სულოკოვისა და სულთანაიჩის მალაზიებში და მიგაზეტებთან ისპიდება მომმეტრიული სხეულები საუკეთესო კარდინის ქალაქისაგან გაკეთებული რეზინით. გეომეტრიის და ხაზების სწავლის დროს აუცილებელად საჭიროა. ბამოცემა ა. ბუნეცკისა. ფასი სამი აბაზი გაუგზავნელად. ჰინც 10 ფგემპლიარ ანუ მომეტებულს გამოიწერს, იმით გაგზავნისათვის არაფერი გადახდებთ.

დაიბეჭდა და ისყიდება

თფილისში, ქ. ხელაძის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, მ. ბებუთოვის სახლებში და წიგნების მალაზიაში

ჭიანჭური

ანუ

ს ა ხ უ მ რ ო ლ ე ქ ს ე ბ ი შინაარსით:

— ბამარჯობა მკითხველს!—შეპით გაბასება ქალებთან!—მაყის აზრი ლამაზ ქალებზედ.—სილ ქრმოზის ვითარება. იმერლების და ქართველების შესხმა.—ბატონ ყუმობის ლექსი.—ღვგრძელთა წამკითხველს!—

შეკრებილი და გამოცემული ქ. ხელაძისაგან და თეოფ. ძანდელაკისაგან.

ფ ა ს ი ო რ ი შ ა უ რ ი .

ქართული წიგნების მალაზია

აცნობებს, რომ დღეის შემდეგ ყოველივე წერილი და მოთხრობილება გამოგზავნონ არსენ ძალანდაძის სახელზე და არა შიფინის, რომელიც გარდიცვალა. შევლასა ეთხრეთ ამას ყურადღება მიაქციონ, რომ ფოტოტიდამ ფულის ანუ წერილის მიღება არ გაგვიძნელდეს და მოთხრობილების ასრულება არ დაგვიანდეს.

დაიბეჭდა და ისყიდება თამარ სამართველს ბატონისპირის ისტორიული რომანი

მ. რჩეულოვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და მნფთაჯიანცის წიგნის მალაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება

ტ ფ ი ლ ი ს შ ი: მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში I და II კარი ჰარამანიანისა, ფასი 30 კაპ. თავის სურათებით. აგრეთვე მნფთაჯიანცის საწიგნო მალაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და აგრეთვე მიხაილოვის ხილზედ უფ. მიზოვეის შენობაში აბოვიანცის მალაზიის პირდაპირ უფ. ძალანდაძესთან.

მ უ თ ა ი შ ი: ბუბერნიის სტამბაში სეიმონ ჩომახიძესთან. ყველგან ფასი 30 კაპ.

იბეჭდება და მომავალ ნოემბერში გამოვა III კარი ჰარამანიანისა. ფასი 40 კაპ.

კატარგურლიდამ ჩამოსული ბავი ბარტენევი — ივანოვისა

ცხოვრობს ძრუხენ შტერნის ქუჩაზე, მუნთოვეის სახლებში, სახელმწიფო ქონების გამგეობის პირდაპირ. მნახველებს იღებს ყოველ დღე, დილაობით 9 საათიდან 11-მდე. ღარიბებს უფულოდ აძლევს შემწეობას.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა ქართულ-ფრანგულ ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბაზი.

ისპიდება

თფილისში ქვეყნის მალაზიაში, ბანოვის ქუჩაზე, მ. ბებუთოვის სახლში:

საყვარლო კონა

ირველ - დაწყებითი მოთხრობებისა, ბუნების მეცნიერებებისა

შედგენილი იაკობ ბოგებაშვილისაგან გამოცემული სტ. ზარაფისაგან ფასი ხუთი შაური

ისპიდება

ქვეთიმე ხელაძის და ამხ. გამოცემანი:

- „სურამის ციხე“ — 20 კ.
- „მეფის ტყაოსანი“ უფ. 50 „
- — — ყლით — 70 „
- ლექსები და ანდაზები 5 „
- საყოველ-დღეო ლოც. 5 „
- სამიჯნორაო ლექსები 5 „
- მთერანი — — — 5 „
- მოდრავი ასოები — — 5 „
- აგრეთვე ისყიდება ახლად გამოსული „მოსანი“ ლექსები, თქმული დავით ბივიშვილისაგან, ფასი 20 კ. და სხვა ქართული წიგნები.
- ყველა ეს წიგნები ისყიდებიან თფილისში ქვეთიმე ხელაძის სტამბაში და წიგნების მალაზიებში, სხვა ქალაქებში „ლოვების“ აგენტებთან.

სტაკ

ქალაქისა და სტაკის

სტაკისა და სტაკის 1876 წ. სურს

ყოველდღიური და ყველდღიური

სარკისა და სტაკის 5 რიქს

სტაკისა და სტაკის 3 „

სტაკისა და სტაკის 1876 წ. სურს

ყოველდღიური და ყველდღიური

სტაკისა და სტაკის 1876 წ. სურს

ყოველდღიური და ყველდღიური

სტაკისა და სტაკის 1876 წ. სურს

რკ. გზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცეცხლის გეგები	ფოფა	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
თფილისი .	9 36	4 54			ა) შოთილამ:	ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:	პეტერბურგი, 21 ლინობ.		თფილისი, 23 ლინობ.	
მცხეთა . .			68	38	მდსისკენ—ორშაბ. დილის 8 საათ	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფო.	1 5
ბორი . . .	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს—კვირაობით დილას.	—ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ.	ლონდონში 32 1/2 პენსი.		მერი ფუთი	60
ხაშური . .	2	11 10	3 92	2 18	ბ) სოხუმშიდამ:	ოთხშ., ოსურგეთს — პარასკ და	პარიჟში 33 8 1/2 სანტიმი.		ბამბა მრეწვისა, ფუთი .	5 20
ბეჟათუბანი			4 42	2 46	შოთს—სამშაბათს, ღამით.	შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	მსკონტი(სარგებლისფასი)		— ამერიკისა, ფუთი .	
შვირილა .			5 81	3 23	მდსას—კვირას, გათენებისას.	შაბ. ძახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	99 75	ბაპერტილი ბამბა ფო.	8 —
მუთაისი . .	8 23		6 75	3 75	შოთილამ: I II III	ბ) მ უ თ ა ი ს ი დ ა მ:	მოგებიანი(პირველისესხი)	224 —	მატყლი თუშური ფო.	7 80
სამტრედია .			7 73	4 29	სოხუმშიდამ . 4 3 1	თფილისისა და შოთისაკენ—ყო-	მოგებიანი (მეორე სესხი)	219 50	— თარაქამისა ფო. .	4 50
ახ.-სენაკი .			8 57	4 76	მერჩამდი . 20 50 15 50 5	ველ დღე, კვირას გარდა. ოსურ-	ბორაოს ფურცლები:		აბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
შოთი	11 44		9 75	5 42	ტაგანროგ. 34 27 8 60	გეთს—ორშ. და პარასკ. შუგდიდს	თფილ. სააზნ. ბანკისა.	95 —	ქონი, ფუთი	4 —
შოთი	8 40				მდსსამდი. 38 30 9 60	—ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	88 —	ქონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი .			1 18	66	ტელეგრაფი მ. კაპ	გ) ბ ო რ ი დ ა მ.	მოსკოვის (5%)	86 75	სტარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია .			2 6	1 14	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:	ყოველგან ყოველ დღე, კვირას	აკციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	45
მუთაისი . .	11 51		3 4	1 69	მუთაისს, შოთს 1	გარდა.	მდსის სავაჭრო ბანკის	180 —	— ცხვრისა, ლიტრა .	54
შვირილა . .			3 98	2 21	ბორს, დუშეთს, სიღნახს 50	დ) შ ო თ ი დ ა მ:	შოთი-თფილ. რკინ. გზის	139 50	სპირტი, ვედრო	6 60
ბეჟათუბანი		ლაშე	5 33	2 96	როსტოვს მდსას მოსკოვს 2	ყოველგან ყოველ დღე, კვი-	შვიგზის ცეცხ. გემების	560 —	შაქარი, ბროც. ფუთი .	8 15
ხაშური . . .	5 41	1 6	5 84	3 24	პეტერბურგს, პარაშავს . . 2	რას გარდა.	ძავეჯის და მერკურის .	168 —	— ფხვნილი ფუთი . .	6 80
ბორი	7 23	3 6	7 36	4 9	მსმალეთში, შვეიცარიაში 3	წიგნის გაგზავნარუხეთში	პირფ. საზღვევ. საზოგ.	665 —	შავა გრგვალი ფუთი .	18 50
მცხეთა . . .			9 8	5 4	იტალიაში და სფრანგეთში. 3 50	და სამზღვარ გარეთ:	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263 —	ზეთი ქუჩაჯუთისა ფო.	6 —
თფილისი	10 16	7 24	9 75	5 42	ინგლისში, 3 75	ლა წიგნის 4	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	მქრო 1/2 იმპერიალი . .	5 88
						დაბეჭდილის (სამი მისხალი) . 8				